# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/136 " 15 " ოქტომბერი 2020 წ.

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის**
**საბიუჯეტო განაცხადის წარდგენაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 67-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 35-ე და 36-ე მუხლების შესაბამისად:

ა) მოწონებულ იქნეს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საერთო სასამართლოების 2021-2024 წლების საბიუჯეტო განაცხადის ფორმები;

ბ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში საერთო სასამართლოებისა და სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაფინანსების ნაწილის პროექტის საქართველოს მთავრობისათვის წარდგენის მიზნით, სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა უზრუნველყოს პირველ პუნქტში აღნიშნული საბიუჯეტო განაცხადის საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენა ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი